



სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ენერგორესურსების
მოხმარების გამოკვლევა
2016



15.12.2017

www.geostat.ge

15.12.2017

ენერგორესურსების მოხმარების გამოკვლევის შედეგები (2016 წელი)


ოფიციალური დეკლარირებული მონაცემების მიხედვით საქართველოში ელექტროენერჯის წარმოება 2016 წელს, წინა წელთან შედარებით 6,8%-ით გაიზარდა და შეადგინა 11573,6 მილიონი კვტ. სთ. 2016 წლის განმავლობაში მოპოვებულია 38,6 ათასი ტონა ნედლი ნავთობი (გასულ წელთან შედარებით 4,0%-ით ნაკლები), 296,5 ათასი ტონა ქვანახშირი (გასულ წელთან შედარებით 3,1%-ით ნაკლები) და 6,6 მილიონი მ³ ბუნებრივი გაზი (გასულ წელთან შედარებით 42,1%-ით ნაკლები).

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, 2016 წელს საქართველოში წარმოებულია 2052,2 ათასი მ³ შუშა (წინა წელთან შედარებით 3,4%-ით ნაკლები).

ენერგორესურსების მოხმარება გასულ წელთან შედარებით იძლევა შემდეგ სურათს: ელექტროენერჯის მოხმარებამ 2016 წელს შეადგინა 10486,5 მლნ.კვტ.სთ (გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 5,9%-ით). ბუნებრივი გაზის მოხმარებამ შეადგინა 2125,7 მლნ.კუბ.მ (გასულ წელთან შედარებით შემცირდა 6,8%-ით). ნავთობპროდუქტების მოხმარება გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 12,6%-ით.


ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს საქართველოში 2016 წელს წარმოებული ენერგორესურსების სტრუქტურას. როგორც გრაფიკიდან ჩანს, სტრუქტურაში უდიდესი წილი (63,6%) მოდის ელექტროენერჯის წარმოებაზე. მეორე ადგილს იკავებს ბიოსაწვავი და ნარჩენებისაგან წარმოებული ენერჯია (24,3%), რომელიც ძირითადად წარმოდგენილია შუშის სახით, ხოლო დანარჩენი ენერგორესურსები სტრუქტურაში შედარებით დაბალი წილით ხასიათდებიან:

წარმოებული ენერგორესურსების სტრუქტურა
2016 წელს




ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურაში 37,1% მოდის ბუნებრივ გაზზე. შედარებით მაღალი წილით ხასიათდება აგრეთვე ნავთობპროდუქტები (29,9%) და ელექტროენერგია (19,2%). წლის განმავლობაში მოხმარებული ენერჯის 8,1%-ს წარმოადგენს ბიოსაწვავი და ნარჩენებისაგან წარმოებული ენერგია, ხოლო დარჩენილი 5,7% მოდის ქვანახშირზე:

მოხმარებული ენერგორესურსების სტრუქტურა 2016 წელს



სექტორული ანალიზი გვიჩვენებს, რომ ენერგორესურსების ყველაზე დიდი მომხმარებელია ტრანსპორტის სექტორი, რომელზეც მოდის მთლიანი მოხმარების 35,5%. 2016 წელს მოხმარებული ენერგორესურსების 29,4% მოდის შინამეურნეობებზე, 17,9% - მრეწველობაზე, 2,6% - მშენებლობაზე, სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობაზე 0,7%, ხოლო დარჩენილი 13,9% - კერძო და სახელმწიფო მომსახურების სხვა დარგებზე ნაწილდება:

ენერგორესურსების მოხმარება სექტორების მიხედვით, 2016



საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge